პარასკევი 1917 წ. ქრისტეშობისთვის 22 (4) № 279 — წლიწადი მესამე

პარასკევი 1917 წ. ქრისტეშობისთვის 22 (4) № 279 — ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დ ღ ე ს:

### ცნობები:

იანვრიდან 1902-სა და 1903-ში გაწვეულ ჯარისკაცებს დაითხოვენ.—ინგლისის მუშათა კონგრესი რუსეთის სეპარატიულ ზავის გამო პროტესტს აცხადებს.—კრილენკოს ბანაკი უკრაინასთან საბრძოლველად ვორონეჟში გადააქვს.—გაიცა ბრძანება: წერეთელი შეიპყარითო.—ნიკოლოზს სიგიჟის ნიშნები დასტყობია.—მე-12-ე ლაშქრის ქართველობა პროტესტს აცხადებს ნაციონალიზაციის განუხორციელობის შესახებ.

ქ. ხონი დაარბიეს; მოკლულია მილიციის უფროსი, 2 მოქალაქე და 6 ყაჩაღი.

### წერილები:

ა. ასათიანი. დეკრეტი მიწის შესახებ.
ვასილ წერეთელი. ქართველ ჯარებს.
ი. იორდანიშვილი. ინგლისი და პალესტინა.
ქართული პრესა. არჩევნების შედეგი.

ერეკლე ლუკაშვილი. „პატიოსნება“, დრამა ზუდერმანისა (თეატრი და ხელოვნება).
ნ. კეცხოველი. არჩევნები ქართლში.
კორესპონდენცია. მამულების დარბევა კახეთში.

სამხედრო დეკრეტი.
ქართველთა ხმა ჩრდილოეთის ფრონტიდან.

---

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას საბჭოს თავმჯდომარის

კიტა (ივანე) აბაშიძეს

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ნიკოლოზის ქუჩა 66). მიცვალებულის გამოსვენებენ სიონის კათედრალურ ტაძარში შაბათს ქრისტეშობისთვის 23-ს დილის ორ საათზე. ანდერძის აგება კვირას, ქრისტეშობისთვის 24-ს. დასაფლავება დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მწერალთა პანთეონში. (5—861—3)

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო აუწყებს ქართველ საზოგადოებას

კიტა აბაშიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

1—865—1

## თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისაგან

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ადგილობრივ სასურსათო კომიტეტების დებულების (1917 წლის მარტის 30) მე-5 მუხლის ძალით თბილისის სურსათის საქმე ქალაქის საზოგადოებრივ თვითმართველობის ხელში გადავიდა, მასვე მიენიჭა ქალაქის სასურსათო კომიტეტის ყველა უფლებები.

ამის გამო ქალაქის სასურსათო კომიტეტი გაუქმებულად ითვლება და დღეიდან სურსათის საქმის მოსაწესრიგებლად ყოველივე ღონისძიებას მიიღებს თბილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება (რტიშჩევის ქუჩა, № 22).

1—863—1 საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის გაზეთ

„საქართველო“-ზე

ხელის მოწერის ფასი: ერთის წლით 50 მანეთი, 6 თვით 27 მანეთი, 3 თვით 13 მან. 50 კაპ. 1 თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირება 20 კაპ.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО“, почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

ქართულ საკვებლმოქმედო საზოგადოების მთავარი

გამგეობა

იწვევს ქრისტეშობისთვის 29-ს საკვებლმოქმედო საზოგადოების წევრთა

წლიურ კრებას

რომელიც მოხდება სამეურნეო ბანკის სადგომში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6. საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი:

1) ანგარიში 1916 წლისა,
2) მოხსენებანი,
3) გამგეობის არჩევა.

ფილიალ განყოფილებებს განსაკუთრებული მოსაწვევი ბარათები არ ეგზავნებათ.

1—864—1 მთავარი გამგეობა.

მე-2 წ. მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. მე-2 წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ ს. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წერილობითი მეორე). წლიურად ჟურნალი ღირება 12 მან., ნახევარი წლით 7 მან., სამი თვით 4 მან., თვიურად 1 მ. 50 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ თავაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვაც შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“) და ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის სასოფლო სკოლის მოწაფეებთან, ტერენტი გიორგის ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან, ჭიათურაში—პლატონ პავლეს ძე კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა ილიას ძე კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ ბესარიონის ძე დოლიძესთან, ბათუმში—„ვანთიადის“ კანტორაში და მოსკოვში—სტ. შალვა დიმიტრის ძე გომართელთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава. 3—1)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე. თ—879—16

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41 ტელეფონის № 14—09

ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი დორიან-მელიქოვის ქუჩა № 5)

იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ცორონცოვის ქ. № 4. თ—766—47

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—38

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). 56—748—თ.

## დეკრეტი მიწის შესახებ

დედა-აზრი დებულებისა მიწადმფლობელობის შესახებ ამიერ კავკასიაში, რომელიც კომისარიატმა უკვე გამოაქვეყნა, შემდეგია: სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პიროვნებათა და კერძო მესაკუთრეთა განსაზღვრულ ნორმაზე მეტი მიწა, რომლის რაოდენობა საგანგებოდ იქნება შემუშავებული, ირიცხება საოლქო სადგილ-მამულო ფონდში და გადადის საოლქო და საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში. ეზო და კარ-მიდამო არ გადადის სადგილ-მამულო კომიტეტების ხელში. ხიზანთა დამოკიდებულება ისპობა და ყველა ის მიწა, რომელიც მათ უკავიათ, კომიტეტებისაგან, შემუშავებულ ნორმის ფარგლებში, და იმ პირობებში, რომელსაც კომიტეტი შეიმუშავებს, რჩება მათვე. სანადელო მიწების გამოსასყიდი იანვრიდან ისპობა. ამ სადგილ-მამულო ფონდიდან ისეთი ადგილები, რომელთაც სახელმწიფოებრივი და საოლქო მნიშვნელობა აქვთ, (ტყეები, სამთო-მადნო სიმდიდრეები, წყლები, საბალახოები და სხ.) საოლქო სადგილ-მამულო კომიტეტის გამგებლობაში რჩება. დანარჩენ მამულებიდან, ნაწილი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისთვის, (ბაღები, ვენახები, საზოგადოთ მაღალი კულტურის მიწები) გადაეცემა ადგილობრივ ერობებს საზოგადოებრივ მეურნეობის მოსაწყობად. დანარჩენი მიწები გადაეცემათ უმიწო და მცირე მამულიან მიწის მომუშავეთ.

დებულების ავტორნი შესავალში მტკიცედ აღიარებენ, რომ მიწათმფლობელობის ახალი წესის შემუშავება საბოლოოდ ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მოთმინებით უნდა მოუცადოს ხალხმა.

ამით აიხსნება, რომ დებულება ვერ იძლევა პასუხს ვერც ერთ უმთავრეს საკითხზე, რომელსაც კი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ეხებოდეს კანონი მიწად-მფლობელობის შესახებ. რასაკვირველია არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ ჩამორთმევად, კონფისკაციად ის მოვლენა, რომ კერძო მემამულეთა მიწები ნორმაზე ზევით გადადის სადგილ-მამულო კომიტეტების გამგებლობაში. სამწუხაროდ ისიც გამოურკვეველია, რა წესით უნდა სწარმოებდეს გამგებლობა—მიეცემათ თუ არა, ვთქვათ, ბანკებს ან კერძო მემამულეთ იჯარა? ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა მიერ გამოსასყიდის გადახდა ისპობა, მაგრამ კითხვა იბადება, ხდებიან თუ არა ისინი სანადელო მიწების სრულს მესაკუთრედ? ხიზანთა მიწები მათს ხელში რჩება, ხოლო იმ წესით, რომელსაც ადგილობრივი სადგილ-მამულო კომიტეტები შეიმუშავებენ. ადგილობრივ კომიტეტს მიენიჭება უფლება შეიმუშავოს ნორმა ხიზანთა მიწის მფლობელობისა და აღიაროს მიწები სრულს მათს საკუთრებად, თუ ეს მიწები ჯერ-ჯერობით რჩება ხიზანთა „სარგებლობაში“, ისე, როგორც მიწები,

რომელთაც დაურიგებენ ადგილობრივი კომიტეტები საადგილ-მამულო ფონდიდან უმიწაწყლო მიწადმოქმედთ.

დებულების მიხედვით კერძო მესაკუთრეთა მიწები, მხოლოდ განსაზღვრულ ნორმაზე ზევით გადადის საოლქო მიწის ფონდში. ეს ნორმა საგანგებოდ იქნება შემუშავებული. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ასეთი ნორმის გამომუშავება დიდს სიძნელეს წარმოადგენს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის, სადაც მიწადმფლობელობისა და მიწად-მოქმედების დიდი სხვა და სხვაობაა, უნდა ვიფიქროთ, რომ კომისარიატი ან სრულებით ვერ იკისრებს ამის გამომუშავებას და მას ჩვენ დამფუძნებელ კრებას მიაკუთვნებს, ან და, ყოველს შემთხვევაში, ამ საკითხის გადაჭრას ხანგრძლივ მუშაობას წაუმძღვარებს. მანამდე კი, დებულების მიხედვით, შეუძლებელი უნდა გახდეს კერძო მემამულეთა მიწების საოლქო ფონდში გადარიცხვა. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დებულების მიზანია რევოლიუციის შემდგომ მომხდარი ცვლილებები შეძლებისდაგვარად უფლებრივ კალაპოტში ჩააყენოს და ამასთანავე აგრარული საკითხის შემდეგ ამისა სტიქიური მსვლელობა შეაჩეროს.

დებულება, რომ ასეთს შედეგს მოგვცემდეს, ეს თავმდები იქნებოდა იმისა, რომ მიწის საკითხი ჩვენს სამშობლოში სრულის წესიერებით და სახელმწიფოებრივი სისწორით გადაწყდება. მიწის საკითხი ყოველგან რთულ სოციალურ საკითხად ითვლება. განსაკუთრებით რთულია ის ჩვენს სამშობლოში და მისი წესიერი და ეროვნული თვალსაზრისით სწორად გადაჭრა არ შეიძლება სტიქიური მოძრაობით. სამწუხაროდ, დებულების ზოგიერთი მუხლების ბუნდოვანი რედაქცია ბევრს საშუალებას მისცემს დეკრეტის სტატიები სრულიად საწინააღმდეგოდ განმარტოს.

არსებითად კი დებულება ვერ არღვევს ჩვენს სამშობლოში არსებულ მიწად-მფლობელობის საფუძვლებს და კომისარიატის დეკრეტი მხოლოდ ამ მხრივ გაუმჯობესებულ ცდად ჩაითვლება. თუ ის სინდისიერად იქმნა მიღებული პრაქტიკულ მუშაობის დროს, დეკრეტი არ ჩაითვლება დამფუძნებელ კრების უფლებათა მნიშვნელოვან უზურპაციად.

უფრო რთულია დეკრეტის პოლიტიკური მნიშვნელობა, დღევანდელ პირობებში, როდესაც ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ბოლშევიკების ძლიერი პარტია და ჩრდილოეთით, თუ სამხრეთით მდგომარეობა რთულდება, კომისარიატს დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ მის მოქმედებით უმნიშვნელო უთანხმოება და უკმაყოფილება პოლიტიკურ კატასტროფად არ გადაიქცეს. ხსენებული დებულებით მეტად უკმაყოფილო დარჩნენ ჩვენი მეზობლები, როგორც თათრები ისე სომხები. ცხარე დეპეშებით უთვლიან მუსულმანთა ოლქებიდან თავის წარმომადგენლებს, რომ მიწის საკითხში ყოველგვარ რეფორმებს მხოლოდ დამფუძნებელ კრებიდან იცნობენ. სომეხთა კათალიკოსი და აგრეთვე სომეხთა ეროვნული საბჭო სასტიკ პროტესტს აცხადებენ სამონასტრო და საეკლესიო მიწების ჩამორთმევის განზრახვის წინააღმდეგ. როდესაც ჩვენ მეზობელთა წარმომადგენელნი კომისარიატში და უფლება-მოსილი ორგანოები მის გარეშე ასე სასტიკად უმხედრდებიან ახალ დებულებას, უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას არავითარი ძალა არ შესწევს განახორციელოს ეს დებულება ჩვენს მეზობელ ქვეყანაში. შ. ქესხიშვილმა კიდეც აღნიშნა კმაყოფილებით, რომ ამ ჟამად დეკრეტი მხოლოდ ამიერ-კავკასიის დასავლეთ ნაწილში ე. ი. საქართველოში იქნება განხორციელებულიო. ეს ფრიად სამწუხაროა. დიდი უთანხმოებიდან დაგვიფაროს განგებამ და მცირე უთანხმოებაც არა სასურველი ჩამოვაგდოთ ჩვენ მეზობლებთან ისეთი დებულებისათვის მიწის საკითხის შესახებ, რომელიც საბოლოოდ და გარკვეულ არაფერს ახალს არ ჰქმნის ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში და მხოლოდ ზნეობრივ კმაყოფილებას მიანიჭებს დეკრეტის ავტორს მოქალაქე ხერუჩევს. მეორეს მხრით არ არის ჩვენთვის ხელსაყრელი, რომ ჩვენმა მეზობლებმა დებულების მოთხოვნილება სახაზინო, საეკლესიო და კერძო მსხვილ მამულთა საოლქო ფონდათ გადარიცხვის შესახებ არაფრად მიიჩნიონ და ჩვენ კი საქართველოს უდავო მიწა-წყალი სახაზინო და საეკლესიო მიწები საოლქო ფონდათ გავხადოთ თუნდაც დროულად, არა საბოლოოდ და ადგილობრივ, ბევრგან სავსებით არა ქართულ საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადავცეთ. თუ ნაკლებ ყურადღებას მივაქცევთ გარეგნულ პროგრამულ ეფექტებს და მეტის შეგნებით მოვეკიდებით საქართველოს, განსაკუთრებით მის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს, მიწადმფლობელობის ვითარებას, დეკრეტის მოსალოდნელი შედეგები სასურველად არ უნდა მივიჩნიოთ.

ა. ახათიანი.

## ქართველ ჯარისკაცებს!

თქვენი სამშობლო, საქართველო, განსაცდელშია! ყვავ-ყორნები თავს დასჩხავიან და მის დაწიწკნას ლამობენ. ყველა ერი შეერთდა, შენაწევრდა და შეიარაღდა თავდასაცავად. თქვენ კი, საქართველოს საუკეთესო შვილნი, სამშობლოის გარეთ იბრძვით.

მოუთმენლად მოგელისთ თქვენი გაპარტახებული, დაცარიელებული სამშობლო! გამოეშურეთ თქვენს საყვარელ საქართველოსკენ და დაიფარეთ იგი კარზე მომდგარი განსაცდელისაგან!

ვისაც უყვარს თავისი თავი, თავისი ნათესავი, თავისი ტოლი და ამხანაგი და თავისი მშობელი ქვეყანა, ხმალი ქარქაშში არ ჩააგოს და ქართველ ჯარში ჩაეწეროს!

აწ საქართველოში დეზერტირი აღარ უნდა იყოს, ყველამ უნდა მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე, არავინ არ უნდა გაექცეს თავის მოვალეობას, ყველა მზად უნდა იყოს სამშობლოსათვის თავის შესაწირავად.

იმავე დროს ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ჯარში უპირველესად დისციპლინაა საჭირო. ნურავინ შეიტანს ქართველ ჯარში ბოლშევიკურ გამხრწნელ წესებს, ნურავინ მოინდომებს დისციპლინის შერყევას! თვითეულმა ჯარისკაცმა ამ საერთო განსაცდელის დღეს პირადი პატივმოყვარეობა უნდა დაივიწყოს და უფროსთა ბრძანებას უნდა დაემორჩილოს: თვინიერ ამ პირობისა ჯარი თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს.

მაშ, ისმინეთ საქართველოს ეროვნული საბჭოს ხმა და შემოკრბით მის გარშემო! ვინც სამშობლოსადმი მოვალეობას არ აასრულებს, ის გარეწარია და მას ქართველი ხალხი ეტყვის: დედის ტკბილი რძე შამამად შერგებიათ!

გახიდ წერეთელი.

## ინგლისი და პალესტინა

მრავალისაგან მრავალი იყო ამ ომის მიზეზები და ძლიერი სახელმწიფონი მისგან მრავალ სასარგებლო შედეგებსაც მოელიან.

პატარა და დაჩაგრულ ერებს კი თავიდანვე დიპლომატიურ აღთქმით ჰკვებავენ.

ამ მხრივ ინგლისი ყველას აჭარბებს.

ვიღას არ ახსოვს ბელგეთის გასისხლიანებაზე ინგლისის მიერ ამაღლებული ხმა? ასკვიტის სიტყვები: ხმალს არ ჩავაგებთ ქარქაშში, ვიდრე პატარა ეროვნებათა უფლებანი მკვიდრსა და შეურყეველ საფუძველზე არ დამყარდებიანო,—დღესაც თითქოს იმედს უღვივებს დაჩაგრულ ერებს.

ამ დაჩაგრულ ერებში, ერთის შეხედვით, ებრაელებს კარგი დღე ეწვიათ.

ინგლისის მთავრობამ გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც აცხადებს, რომ იგი ყველა ზომებს მიიღებს, რათა პალესტინა ებრაელთა ეროვნულ ცენტრად გარდიქცეს. თავის დროზე გაზეთებში ცნობა იყო, რომ ამ ამბავმა დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ლონდონის ებრაელთა უბნებში. დეკლარაცია თორეშიც იკითხებოდა. ამერიკაც სიამით გამოეხმაურა ხსენებულ აქტს. პეტროგრადში ხომ სიონისტთა საგანგებო დელეგაციამ უმაღლესი მადლობა გადაუხადა სერ ჯორჯ ბიუკენენს. რა თქმა უნდა, ბიუკენენს მაშინ ტკბილი სიტყვა არ დაჰვიწყებია, მაგრამ სიონისტებისადმი მის მიერ მიწერილი დეპეშა უფრო დამახასიათებელია. იგი, სხვათა შორის, სწერს: „ინგლისი მუდამ ყოფილა ებრაელების მეგობარი. ყველა ქვეყნების ტანჯულ ერებს ინგლისის ფრთათა ქვეშ უპოვიათ თავშესაფარი (?) სავანე. ეხლა ინგლისი პალესტინის დასაპყრობად ისწრაფვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი თავის ახალშენად გამოაცხადოს, არამედ მისთვის, რომ მრავალ-ტანჯულ ებრაელებს თავისი სამშობლო დაუბრუნოს და შექმნას ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პალესტინა ჯერ სრულიად არ არის დაპყრობილი და უკუღმაფერი ომის გათავებაზე და მოკავშირეთა მედგარ მოქმედებაზეა დამოკიდებული. ხოლო ყოველივე განცალკევება მათ შორის დააგვიანებს ისრაელთა აღთქმულ მხარეში დაბრუნებას". დიდებული აღთქმაა. ებრაელთათვის ხომ მეტად სასურველი, თუ იგი მხოლოდ აღთქმად არ დარჩა. ძნელი წარმოსადგენი კია, ვითომც ინგლისელები მხოლოდ მისთვის შეაკხამდნენ ქება-დიდებას გენერალ ალენბის, რომ იგი ახლოვებს პალესტინის დაპყრობას და მასში ისრაელთა დაბრუნებას.

არის ერთი შეუსაბამობაც. პალესტინის მილიონ მცხოვრებთა შორის 100 ათასი ებრაელია, 100 ათასი ქრისტიანი და 300 ათასი მაჰმადიანი. ცხადია, პალესტინის მცხოვრებლებს არ ესიამოვნებათ ინგლისელთა დაჯაგუწულ მუშტით ზურგ გამაგრებულ ებრაელთა ბატონობა. მეორეც კიდევ: სიტყვით ეროვნებათა თვით-გამორკვევის პრინციპზე მდგარი ინგლისი ან მეტად გაუტაცნია ებრაელთადმი გულჩვილობას, ანდა სულ სხვა მიზეზები ამოძრავებს. ის კი ნათელი უნდა იყოს, რომ პალესტინის საკითხის ასე გადაწყვეტა დიდს უთანხმოებას გამოიწვევს მაჰმადიანთა შორის, რასაც, შესაძლოა, დიდი უბედურებაც მოჰყვეს.

ეს თითქოს შეიგნეს ებრაელებმაც. დეკლარაციით ანთებული იმედი ნელინელ უნელდებათ. ამ დღეებში ებრაელთა შეერთებულ სოციალისტურ პარტიის ფრაქციამ, მოსკოვში მომხდარ სხდომაზე, გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო დეკლარაცია, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ: ინგლისის მთავრობის დეკლარაცია არ სწყვეტს ებრაელთა ეროვნულ პრობლემას, ხოლო ამ ჯერ ისევ დაუსრულებელ სისხლის ღვრის დროს პალესტინის აღთქმას შეუძლიან ებრაელები ისეთ წრეში მოაქციოს, სადაც ოსმალეთთან ერთად მის მოკავშირენიც თავბედს დააწყევლინებენ.

რა თქმა უნდა, ეს ინგლისის მთავრობას არ ესიამოვნება, მაგრამ ალბად ხსენებულ დეკლარაციის გამომქვეყნებელთ თვალწინ ბელგეთიც უდგევთ.

ასეც უნდა. ჰკუა-დამჯდარი ერი ყველაფერს უნდა უწევდეს ანგარიშს. ალბად მათ კარგად იციან, რომ ინგლისმა უმთავრესად გასისხლიანებულ ბელგეთის სანუგეშოდ კი არ აღმართა ხმალი, არამედ მისთვის, რომ გერმანელებმა ხელთ იგდეს ალბიონის „ზღვის სადგები". დიპლომატიური კომბინაციებით ჯერ არც ერთ პატარა ერს არ მიუღწევია თავის პოლიტიკურ იდეალისათვის. ამ იდეალისკენ მისაღწევად ერთად-ერთი გზა ერის თვითორგანიზაცია არის...

ს. იორდანიშვილი.

## ქართული პრესა
### არჩევნების შედეგი

გაზეთი „ალიონი" სწერს:

„როგორც ციფრებიდან სჩანს, ჩვენი ფედერალისტები, თან და თან ჰკარგავენ იმ ხმებსაც, რომელიც ჰქონდათ...

ის ელემენტები, რომელიც დღემდის ფედერალისტთა ბანაკს ხდიდა მძლეთა მძლეთ—მათ თან და თან შორდებათ და ნაც.-დემოკრატების ბანაკში გადადიან. ეს არჩევნების შედეგიდან სჩანს: ოზურგეთში მე-6 ნომერმა მიიღო 67 ხმა, 8—196, ბათუმში 6—272, 8—299, ახალსენაკში 6—105, 8—337, რიონში 6—7, 8—182, ასევე უმეტესობამ მისცა ხმა ნაც.-დემოკრატებს შემოქმედში, დვაბზუში, გურიანთაში, ხვარბეთში, ლიხაურში და სხ.

ამ მოკლე ცნობებიდან ნათლად სჩანს თუ როგორ ძლიერდება ქართველ კადეტების ბანაკი ფედერალისტებთან შედარებით.

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან
### გერმანელთა საზღვაო დელეგაცია

პეტროგრადში ჩამოვიდა გერმანელთა საზღვაო დელეგაცია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზღვაზე ომის შეწყვეტის პირობები. დელეგაციას თან მოჰყვნენ გერმანელ მუშათა და გლეხთა წარმომადგენელები.

### „პრავდა"-ს ცნობა

„პრავდაში" გამოცხადებულია, რომ ბრესტში მოლაპარაკების საქმე ვერა ხეირობს. ხელთა გვაქვს იმის დოკუმენტები, რომ გერმანელთა მძარცველ იმპერიალიზმს არ ძალუძს დროებით მაინც შეაჩეროს თავისი ველური ინსტინქტებიო.

### გერმანელთა დელეგაცია

როგორც ამბობენ, პეტროგრადში მოსული მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა წარმომადგენლები აპირობენ ტეხნიკურ საკითხების მოწესრიგებას; ფოსტის მიმოსვლის აღდგენას, და ეკონომიურ ურთიერთობის გაცხოველებას. კერძო ცნობებით დელეგატებს უფრო ფართო მიზნები აქვთ. დელეგაციას ხელმძღვანელობს — კონტრ-ადმირალი ბარონი კაიზერლინგი. პეტროგრადში ელიან გერმანეთის საელჩოს ყოფილ წევრს მისმანს და ავსტრიელ პრინცს ჰოგენლოეს.

დელეგატებს მშვენიერი ბინა მისთავაზეს „ბრისტოლში". კაიზერლინგმა კორრესპონდენტებს, განუცხადა, რომ ის კარგად იცნობს რუსეთს. რადგანაც პეტროგრადში 4 წელიწადი იცხოვრა; სჩივის სიძვირეს და ამბობს, რომ ბერლინში ცხოვრება ძალიან იაფიაო; ის აპათიებს ხმებს გერმანეთის რევოლიუციის შესახებ. სხვათა შორის მან სთქვა, თუ გინდ რუსეთთან სეპარატიული ზავი ჩამოვაგდოთ, ის კვლავ იომებს ამერიკასთან და სხვა მოკავშირეებთან. ბოლშევიკებს თუ არ იცნობენ რუსეთში, ხოლო ლენინს და ტროცკის კი, სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობისთვის მომზადებულ პირებად სთვლიან.

### გერმანელ დელეგაციის თხოვნა

ავსტრო-გერმანელ დელეგაციის წევრებმა ქრისტეშობისთვის 19 ს სთხოვეს, რათა ნება დართონ ინახულონ რუსეთის სხვა პარტიების წარმომადგენლები; მაგალ. მათ ჰსურთ საუბარი ჩერნოვთან და სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში
### შეთქმულობა ბოლშევიკების წინააღმდეგ

აღმოუჩენიათ შეთქმულება ზოგიერთ ცნობილ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

### უელჩოდ

ბოლშევიკები უცხო სახელმწიფოებში თავიანთ ელჩებს აღარ ნიშნავენ. ტროცკის უთქვამს: ჩვენ საიდუმლო არა გვაქვს რა, ურთიერთობა ჩვენთან პირდაპირ უნდა იქონიონო.

### ბანკების დირექტორები

პეტროგრადის კერძო ბანკების დირექტორები უცხოეთში არიან. პეტროგრადში დარჩენილებს ბოლშევიკები ატუსაღებენ.

### თეატრების ნაციონალიზაცია.

მოსკოვში იწყებიან, რომ სულ მოკლე ხანში გამოცხადდება თეატრების ნაციონალიზაციაო.

### მანუფაქტურა პეტროგრადში.

პეტროგრადში ამ დღეებში ელიან გერმანეთიდან დიდძალს მანუფაქტურას.

### მგზავრობის შეჩერება.

პეტროგრადში დაჟინებით ამბობენ, მატარებლების მიმოსვლის შეჩერებას.

### დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ.

ბოლშევიკების დეკრეტი ბანკების ნაციონალიზაციის და სურსათის რეკვიზიციის შესახებ, მღელვარებას იწვევს დაინტერესებულ წრეებში. სარდაფებში ნაპოვნ ოქროს იჭერენ, და ფულს კი სახელმწიფო ბანკებს გადასცემენ. კერძო ბანკები უერთდებიან სახელმწიფო ბანკებს და ადგენენ სახალხო ბანკს. კერძოთა აქციონერები შედიან სახალხო ბანკებში. დაპატიმრებული დირექტორები განთავისუფლდებიან მილიონ მანეთის საწინდარით. ამნაირი განთავისუფლება არ შეეხება ვიშნეგრადსკის; იგი მიცემულია სისხლის სამართალში. პუტილოვი მიიმალა. მას ეძებენ. როგორც ხმები დადის, ჩინეთშიც აპირებენ დამზღვევ საზ-თა ასეთ ოპერაციებს, გაჩხრიკეს პირველი რუსული დამზღვევი საზოგადოება; დაპატიმრებულია დირექტორი დობრინინი.

### მიტინგები.

მიუხედავად იმისა, რომ პეტროგრადი საალყო წესებშია გამოცხადებული, ქუჩებში განუწყვეტლივ მიტინგები იმართება.

### ნადედოფლარ ალექსანდრას წერილი.

საგამომძიებლო მთავრობამ ხელთ იგდო ყოფილ დედოფლის ალექსანდრას წერილი, ერთ ყოფილ ფრეილინის მისამართით. ალექსანდრა თავის წერილში სხვათა შორის ამბობს, რომ ნიკოლოზი გამოტვინდა და გაგარეულდა. ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს დღევანდელს ამბებს და არც იცნობს გვირგვინზედ. ერთად ერთ სანანურად გაუხდია სასახლე ლივადიაში. დიდს ყურადღებას აქცევს ალექსის. წერილებსა ჰსწერს, მხოლოდ დედას, რომელიც ახლა მორჩა ავადმყოფობისგან და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან გადავიდა. რომანოვების ბავშვები უკვე შეეჩვივნენ საქმის გარემოებას. ალექსი გულმოდგინედ სწავლობს სხვა და სხვა საგნებს. ბოლო ხანებში ცხოვრება გაუადვილეს. ალექსანდრას დიდად ახარებს ზავის ჩამოგდება და ამასთანავე იმედოვნებს, რომ ამით მათი ცხოვრების პირობებიც გამოიცვლება. ყოფილ დედოფალს ჰსურს რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალ გუბერნიაში ცხოვრება.

## მოსკოვში
### წინასწარი ცენზურა

მოსკოვში მხოლოდ 2 სოციალისტური გაზეთი: „ტრუდ"-ი და „ვპერედ"-ი და აგრეთვე ბოლშევიკების ორგანოები-ღა გამოდის. „უტრო როსია"-მ გამოსცა ცნობა, რომლითაც აცნობინებს მოქალაქეთ, რომ მოსკოვის პრესამ გადასწყვიტა ყურად არ იღოს ბოლშევიკების მიერ ქრისტეშობისთვის 8-ის თარიღით გამოცემული დეკრეტი—წინასწარ ცენზურის შესახებ—და გაზეთების უმრავლესობა დროებით არ გამოვა. განცხადებას იზიარებენ მოსკოვის 13 გაზეთი: „ვეჩერნია ნოვოსტი", „ვლასტ ნაროდა", „ვრემია", „ზემლია ი ვოლია", „ლუჩ პრავდი", „მოსკოვსკი ლისტოკი", „რანნეე უტრო", „რუსკია ვედომოსტი", „რუსსკოე სლოვო". „ტრუდოვაია კოპეიკა" და „ტრუდ"-ი.

## პროვინციაში
### ხარკოვის ტელეგრაფი

ხარკოვის ტელეგრაფი ბოლშევიკების ხელშია. უკრაინასთან ტელეგრაფით ურთიერთობა შესწყდა.

### დამორჩილება

დონში ყაზახების წინააღმდეგ მისული ბოლშევიკური ჯარები ყაზახებს დაუმორჩილდნენ.

### გენ. კოროვიჩენკოს მოკვლა

ტაშკენტში თვითგასამართლების მსხვერპლი გახდა თურქესტანის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი პ. ა. კოროვიჩენკო. განრისხებულები სისხლით გასვრილ მომაკვდავ კოროვიჩენკოს სახეზედ 6 შაურიანი უშვებდნენ, მნახველები მომაკვდავს პირში აფურთხებდნენ.

### ქალაქ ირბიტის აოხრება

ირბიტის მეციხოვნეთ საშინლად აუოხრებიათ ქალაქი ირბიტი. საშინლად დაუხარალებიათ ბაზრის შენობები. ნახევარზე მეტი გადაუწვიათ. მრავალია დაჭრილი, დახოცილი და დამწვარი. ოფიცერთა ერთ ნაწილმა შეადგინა ახალგაზრდათა ჯგუფი. ხაზინას, სატუსაღოს, ფოსტას, ქალაქის გამგეობას და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს იცავენ.

### ბოლშევიკები და ჩინელები.

ხარბინი ჩინელებმა დაიჭირეს და სასტიკად დაამარცხეს ბოლშევიკები.

### ბრძოლა ირკუტსკში.

ირკუტსკში საშინელი ბრძოლა რვა დღის განმავლობაში ყოფილა.

### ორენბურგში.

ორენბურგის სამხედრო წრეში დუტოვმა წაიკითხა პრაპორჩიკ ეროშოვის ბრძანება ყაზახების დაიხოცვის შესახებ. კითხვის დროს ასტეხეს ძახილი „სირცხვილია სირცხვილი" და დუტოვმა ბრძანება დახია. ორენბურგის მეციხოვნენი გაიქცნენ. დახარჩენებს იარაღი აჰყარეს. მათ უფროსებს ციხეში უკრეს თავი. ორენბურგის სამხედრო ოლქის უფროსად დუტოვი დაინიშნა.

## უკრაინა
### უკრაინა და სმოლნი

უკრაინის ცენტრ. აღმას. კომიტეტის ფრაქცია დაბრუნდა პეტროგრადიდან და განაცხადა, რომ სმოლნისა და უკრაინის შორის შეთანხმება ვერ მოხერხდებაო.

### რადის სადგომის დამტვრევა

მოსკოვში, უკრაინის რადის სადგომი დაამტვრიეს. ბიბლიოთეკა არა სჩანს, დაპატიმრებულია 40 უკრაინელი, ორი გაიქცა.

## დამფუძნებელ კრების გარშემო
### პურის გაზიდვის აკრძალვა

რამდენიმე გუბერნიაში გლეხთა ორგანიზაციებმა ქალაქებში პურის გაზიდვა აკრძალეს. ვიდრე დამფუძნებელი კრება არ გაიხსნება ჩვენ დადგენილებას არ მოვხსნითო.

### იუსტიციის კომისრის განცხადება

დამფუძნებელ კრების დაცვის კომიტეტში გამოცხადდა შეიარაღებული რაზმი, რომელმაც განაცხადა იქ მყოფთა დაპატიმრება. მცირე ხნის შემდეგ აქ მოვიდა იუსტიციის კომისარი შტეინბერგი და განაცხადა რომ დააპატიმრება მიუსაჯეს: წერეთელს, ჩერნოვს, ბრამსონს, გოცს და სხ. ყველა ჩამოთვლილი პირები იმ ჟამად იქ არ იყვნენ, ხოლო დანარჩენები არ დააპატიმრეს.

### დამფუძნებელ კრების დაწყობა

როგორც ხმები დადის, დამფუძნებელ კრებას ქრისტეშობისთვის 22—23-ში მოიწვევენ.

### კრების დამცველი კავშირის დაჭერა

წითელ გვარდიელებმა დაიჭირეს დამფუძნებელ კრების დაცვის კავშირის სადგომი და დააპატიმრეს ბრამსონი.

## ეკონომიური ცხოვრება
### ვაჭრობა გერმანეთთან

რიგის ფრონტზე გერმანეთთან უკვე წესიერი ვაჭრობა გაჩაღდა. სადგურ ზაგევოლდიდან რიგამდის ავტომობილით წესიერი მიმოსვლა დაიწყო. ავტომობილებით რიგაში ნედლი მასალა შეაქვთ. არა ნაკლებ ჰზიდავენ სურსათსაც. სამაგიეროდ რიგიდან ზეგევოლდში ქიმიური ნაწარმოებნი სხვა და სხვა იარაღი და ფეხსაცმელი შემოაქვთ. რიგაში ფეხსაცმელი მეტად იაფად ფასობს. წყვილს 10—15 მანეთად ყიდულობენ.

### რუსული მანეთი

მანეთის ფასი თანდათან ეცემა. 10 გირვანქა სტერლინგი 370 მანეთად ფასობს, ფინლიანდიის 100 მარკა—103 მანეთი.

## უკანასკნელი დეპეშები

კიევში გრანდიოზული ანტიბოლშევიკური მიტინგი გაიმართა, რომელზედაც დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევა მოითხოვეს.

—

პეტროგრადში დიდი საზავო დემონსტრაციები მოაწყეს ბოლშევიკებმა, რომლებიც, სხვათა შორის, დამფუძნებელ კრების მოწვევის ლოზუნგს იძახდნენ.

—

სახალხო კომისართა საბჭო 1 იანვრიდან პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს რეორგანიზაციას ახდენს.

—

სახალხო კომისართა საბჭომ „თავდაცვის საგანგებო სათათბირო" გააუქმა. მის მაგივრად დაარსა „სამხედრო ფონდის სათათბირო".

—

ინგლისის მუშათა კონგრესმა პროტესტი გამოუცხადა სახალხო კომისართა საბჭოს სეპარატიულ ზავის პოლიტიკისათვის.

—

ტროცკიმ მუშებს მოუწოდა: „თუ მოკავშირე სახელმწიფოებმა შემდეგშიაც არ მიიღეს მონაწილეობა საყოველთაო საზავო მოლაპარაკებაში, მუშათა კლასმა ძალაუფლება ხელიდან უნდა გამოსტაცოს იმათ, ვინც ზავის წინააღმდეგია. თუ ინგლის-საფრანგეთის ფრონტზე ეხლავე არ ჩამოაგდეს დროებითი ზავი, გერმანელები კიდევ დაიწყებენ ახალ გრანდიოზულ შეტევას, რომელსაც რამდენიმე მილიონი კაცი შეეწირება ისევე უაზროდ, როგორც აქამდის. თუ ომი გაგრძელდა, ევროპის ერების საუკეთესო ნაწილი გასწყდება. ხალხს კი სიცოცხლე სწყურია და ამის უფლებაცა აქვს. უნდა მოსპოს, ვინც მას სიცოცხლეს უსპობს. მოკავშირეებს კიდევ მივმართავთ, შესწყვიტონ ომი, ამასთანავე ერთად დიდს, ყოველ მხრივ დახმარებას აღმოვუჩენთ ყოველი ქვეყნის მუშათა კლასს, რომელიც მოინდომებს თავის ქვეყნის შოვინისტ-იმპერიალისტების დამხობას და აღმართავს მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლის ალამს, რომელსაც ეწერება: „ხალხთა შორის ძმობა და მშვიდობიანობა სოცია-

ლისტურ წესწყობილების დასამყარებლად".

—

ლონდონ 3 შესდგა კონგრესი, რომელმაც მიიღო გენდერსონის რეზოლუცია:

„მუშათა კლასის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს: რაც შეიძლება მოკლე-ხანში დემოკრატიულ უანექსიოთ და უკონტრიბუციო ზავს ჩამოვდებისაკენ; ომის შემდეგ ეკონომიურ ხფეროში არ უნდა ჰქონდეს ადგილი გერმანეთის ძალადობას; თუ გერმანიამ არ მიიღო ჩვენი პირობები, ომი უნდა განვაგრძოთ გამარჯვებამდე, რადგანაც გვრწამს, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება ჩვენს მხარეზეა".

# ქრონიკა

## თბილისი.

✦ **გაქირვება თბილისში.** თბილისის ქალაქის გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს გარეშე დაბა-ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთ, რომ თუ დიდი საჭირო საქმე არ ექნებათ, თბილისში არ წამოვიდნენ, რადგან უბინობისა და უსურსათობის გამო დიდს გასაჭირში ჩავარდებიან თბილისში.

✦ **სახლების რეკვიზიცია.** თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა და ამიერ კავკასიის კომისარიატის ნებართვისა, თბილისის ქალაქის გამგეობა შეუდგა კერძო სახლების რეკვიზიციას სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

✦ **მიტოვებულ ნივთების შეგროვება.** ჯარის კაცები მრავალ ნივთებს სტოვებენ თურმე ფრონტზე. სამხედრო სამრეწველო კომიტეტი საგანგებო კომისიას გზავნის ფრონტზე მიტოვებულ ნივთების მოსაგროვებლად.

✦ **ფინელ ტეხნიკოსთა ქარხანამ**, რომელმაც ამას წინად ფინლიანდიიდან მუშები ჩამოიყვანა, ეს საზოგადოება გაკოტრებულად გამოაცხადა, მუშებისთვის ოთხი თვის ჯამაგირი არ მიუცია. საზოგადოების გამგეობის წევრნი გარდა ერთისა, ნალბანდიანისა მიიმალნენ. შრომის კომისარმა ამიერ-კავკასიის კომისარიატში წინადადება შეიტანა პასუხის გებაში მისცენ ფინელ ტეხნიკოსთა საზოგადოების გამგეობის წევრნი, ნალბანდიანი უკვე დააპატიმრეს. სხვების დასაჭერად ზომებია მიღებული.

✦ **უმუშევრები.** ბოლო დროს უმუშევართა რიცხვი თბილისში თან და თან იზრდება. ამის გამო შრომის კომისარის ამხანაგმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა ახალი შრომის ბირჟები კიდევ დაარსოს უბნებში გარდა უკვე არსებულ ცენტრალ ბირჟისა. ასეთივე წინადადება გაეგზავნა ამიერ კავკასიის სხვა ქალაქებსაც.

✦ **ბერძენთა ეროვნული ჯარის შედგენა.** თბილისში დაარსდა ბერძნების სამხედრო კავშირი, რომელმაც უნდა შეადგინოს ბერძენთა ეროვნული ჯარი.

✦ **პართენ გოთუა** არ ჩეულია თბილისის ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიაში, როგორც წარმომადგენელი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისა.

✦ **ქ. შ. წ. კ. საზოგადოების** რწმუნებულთა არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებისაგ გავიდა 8 კაცი: დ. გ. კარიჭაშვილი, ი. ვართაგავა, ი. ავალიშვილი, ი. ციციშვილი, იელ. იაშვილი, დ. დუმბაძე, ივ. ბერძნიშვილი, გ. იმნაიშვილი.

## გაგრა

✦ **აბხაზების მოქმედება.** აბხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებმა თავის გამგეობის ქვეშ აიღეს კლიმატიური სადგური. ამის შესახებ ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და აბხაზთა სახალხო საბჭოს შორის ამის გამო უთანხმოება ჩამოვარდა. თბილისში ამის თაობაზე საგანგებო დელეგაცია გამოიგზავნა.

## განჯა

✦ **უწესრიგობა.** ქრისტეშობისთვის 17 ბრბო თავს დაესხა ციხეს, პატიმრები გაანთავისუფლეს, იარაღი გაიტაცეს და სასუ სათო საწყობე ი დაარბიეს.

## სამტრედია

✦ **სროლა და დაჭრა.** სამტრედიაზე ჩამოიარა სამხედრო მატარებელმა, რომელშიაც იხსდნენ ფრონტიდან წამოსული რუსი ჯარის კაცები: მათ თოფები გადმოუშვით ვაგონების ფანჯრებიდან. ადგილობრივ დაბინავებულმა ქართული ჯარის ნაწილმა მათ მოსთხოვა იარაღის დანებება. მათ საპასუხოდ სროლა ასტეხეს, რომლის დროსაც ერთი ჯარის კაცი დაიჭრა.

## თელავი

მთელი ქალაქი ერთი დღით უპუროთ იყო დარჩენილი. ნახევარ გირვანქა სიმინდის ფქვილი დაურიგეს მარა დაშინებულთ ეს ვერ აპურებდა. ეხლა ძლივს გვედირსა და მოვიდა თიანეთის მხრივ სოფლებიდან რამდენიმე ურემი ფქვილი.

— ამ დღეებში, მოსამარაგებელმა საზოგადოებამ თბილისიდან მიიღო ნავთი. გირვანქა 37 კაპ. იყიდება. ამავე დროს კერძო პირებთან-კი გირვანქას 50 კაპ. ჰყიდდნენ. საზოგადოდ დიდი სიძვირეა ქალაქში.

— ყველი ეხლა, მარტო ქალაქის დუქნებში იყიდება, გირ. 2 მან და 50 კაპ სხვაგან გირვანქას 3—4 მანეთს აფასებენ და არც მოიპოვება.

## ზაქათალა

✦ **კომისარის გადაყენება.** ზაქათლის მხარის სასოფლო საზოგადოებათა წარმომადგენლების ყრილობამ დანიშნული კომისრები არაა სცნო და თვით აირჩია კომისრად ი. ქოშულაშვილი.

## ტრაპიზონი

✦ **შავი ჭირი.** ქალაქში შავი ჭირი თან და თან ვრცელდება. აქაურ ჯარის კაცთა შორის 30 მდე აღმოჩნდა ავადმყოფი. ამათგან 7 უკვე გარდაიცვალა.

# სასურსათო საქმეები

✦ **გაფიცულ** მსხვილ ყასბების წინააღმდეგ სასტიკი ღონის ძ ებანია მიღებული. ქრისტეშობისთვის 20-ს, საღამოს, მეყასბეების დუქნებს მილიციონერები და წითელ გვარდიელები შემოარტყეს და დუქნები გახსნეს. რამდენიმე ყასაბი დატუსაღებულია. გუშინ, ქრისტეშობისთვის 21-ს, დუქნებში იყიდებოდა ქალაქის გამგეობის მიერ დარიგებული ხორცი.

# საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში.** პარასკევს, ქრისტეშობისთვის 22, საღამოს 8 საათზე ფრეილინის ქუჩაზე, № 11 შესდგება ქართულ-ტეხნიკურ საზოგადოების სამთო საექიმო სექციის კრება. კრების საგანია პრეზიდიუმის არჩევა და საორგანიზაციო საკითხები.

✦ **„განათლების" საზოგადოების** წლიური კრება მოხდება ოთხშაბათს, ქრისტეშობისთვის 27, დილის 11 საათზე სასწავლებლის სადგომში (სვიატოპოლკმირსკის ქუჩ., № 6).

✦ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების** მორიგი კრება შესდგება პარასკევს, ქრისტეშობისთვის 22 ს, საღამოს 8 ს., კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში. კრების საგანი: ექიმი ს. ვ. კანდელაკი წაიკითხავს მოხსენებას: ა) „ციება პაპატაჩი (Pappataci) და ამ ავადმყოფობის გამავრცელებელი კოღო ფლებოტომუსი", ბ) „გემოგლობინურიანი ციება", პრივ.-დოც. ა. ნ. ჯავახიშვილი „ჯანმრთელობის სექციის მოწყობა" და ექიმი ვ. დ ღამბაშიძე „ლექციების სექციის დაარსება". ამავე კრებაზე წევრებმა უნდა წარმოადგინონ ცნობები წლიური ანგარიშის შესადგენად. მოსაწვევი ბარათები არ დაიგზავნება.

✦ **გლეხთა ყრილობა.** ამიერ-კავკასიის გლეხთა საოლქო ყრილობა, რომელიც იანვრის 10-ს უნდა დაწყებულიყო თბილისში, იანვრის 25-ს მოხდება. 3.000 ამომრჩეველს თითო წარმომადგენელი ეყოლება.

✦ **კრების გადადება.** ქართულ სამქსელმოქმედო საზოგადოების წლიური კრება ტეხნიკურ დაბრკოლების გამო იანვრის 29-ს არ მოხდება.

✦ **რუსთა ეროვნული საბჭო.** დღეს, ქრისტეშობისთვის 22 ს კრება იქნება აქაურ რუს მენშევიკებს რუსთა ეროვნულ საბჭოს ორგანიზაციის მოსაწყობად და საბჭოს 5 წევრის ასარჩევად.

# კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ დაადგინა დაუვიწყრონ განსვენებულს კიტა აბაშიძის პანაშვიდების და დასაფლავებას და მისი ხსოვნის აღსანიშნავად გადასდო ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოდ ათი თუმანი (100 მან.).

კუბო, როგორც დამკრძალავმა კომიტეტმა დაადგინა, გვირგვინებით არ იქმნება შემკობილი. იქნება მხოლოდ ერთი გვირგვინი სოც.-ფედერალისტთა პარტიის სახელით. გვირგვინების საფასური ფული მსურველთ რამე დაწესებულებას უნდა შესწირონ. ვისაც განსვენებულის დაკრძალვის დღეს სიტყვის წარმოთქმა სურს, უნდა მიმართოს დამკრძალავ კომიტეტს მუდამ დღე დილის 11—12 საათ., საღამოს 6 –8 საათ.

# დემობილიზაცია კავკასიაში

ქალაქ ბორჯომის მუშ. და ჯარისკაცთა დეპ. საბჭომ, იმ შიშით, რომ №-ის კორპუსის გამოვლაზედ, ცხოვრება უსურსათობით მეტად გაძნელდება,—ახალქალაქში გაგზავნა აგიტატორები, რომელთაც უნდა დაიყოლიონ ზემოხსენებული კორპუსი, რათა მან ბორჯომის ნაცვლად მანგლისზე გაიაროს. ამასთანავე საბჭო სცდილობს, რათა დღე-ღამეში მხოლოდ 1000 კაცი მოდიოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა უსურსათოდ დარჩება. ბორჯომელები სთხოვენ აგრეთვე კავალერიას და არტილერიას, რომ ვაგონების უქონლობის გამო, ხაშურამდე ცხენებით მიჰყვნენ. კორპუსის მგზავრობის გამო, დროებით შესწყდება თბილის-ბორჯომის შუა მატარებელთა მიმოსვლა. ბორჯომში აპირებენ ყველა სასტუმროთა, კლუბების და ცარიელ აგარაკების რეკვიზიციას.

# განჯის დარბევა

განჯიდან ამიერ კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, რომ დამცველი რაზმი შეადგინეთ. რკინის გზის მოსამსახურენი გარბიან. ჯარის-კაცთა მომავალი ეშელონები რომ ხედავენ დარბეულ ადგილებს ბრაზი მოსდით. თვითგასამართლების შემთხვევები მრავლდება; ამ დღეებში ნ მაჰმადიანი მოჰკლეს ამ წესით. ეს არის მოვიდა პლასტუნთა ეშელონი, რომელმაც განაცხადა, რომ ის ადგილობრივ დარჩება და მძარცველებს გაუმკლავდება. მოსალოდნელია, რომ დარბევა, ცარცვაგლეჯა, ძალმომრეობა გაგრძელდეს; ქალაქში შიმშილი იწყება. საჭიროა რკინის გზის მოსამსახურეების შესაჩერებლად ზომები მიიღონ, რათა რკინის გზის მოძრაობა სრულიად არ შესწყდეს.

# ხონის დარბევა

(გაზ. „საქართველოს" ტელეგრამა)

ხონიდან საკუთარი კორესპონდენტი ნ. ასათიანი გვატყობინებს, რომ ქრისტეშობისთვის 20-ს 50 კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო დაეცა ადგილობრივ ფოსტას და ბანკს. ქუჩები მილიციამ დაიჭირა. ასტყდა სროლა, მოკლულია მილიციის უფროსი, 2 მოქალაქე და ყაჩაღთაგან 6. საღამოთი ქუთაისიდან წითელგვარდიელები გაგზავნეს.

# სარიყამიშის დარბევა

სარიყამიშის სადგურიდან ამიერკავკასიის კომისარიატს დეპეშა მოუვიდა, რომ სარიყამიშში დარბევა დაიწყოო. სადგურის საწყობებს ათასობით ჯარისკაცები ახვევიან და სცარცვავენ. დარბევა დღიხანს გასტანს, რადგანაც დამცველი არავინაა. ზარალი აუწერელია. მცხოვრებთა შორის პანიკაა.

# შიშიანობა სად. ძეგამზე

სადგურ ძეგამის მოსამსახურენი სთხოვენ ამიერ-კავკასიის კომისარიატს 15 ვაგონი გაუგზავნონ მათ ცოლშვილის გამოსაგზავნად თბილისისაკენ, ვინაიდგან დიდი შიშია სადგურზე და ყოველ წუთს დარბევას მოელიან. მოსამსახურენი დასძენენ, რომ თუ მათი თხოვნა ყურად არ იღეს, სადგურს მიატოვებენ და ამნაირად პასუხისმგებლობისაგან თავს ინთავისუფლებენ.

# მდგომარეობა ჩრდილო-კავკასიაში

გუშინ წინ შუადღისას მთიელთა მთავრობის წევრმა ბამმატოვმა შემდეგი ცნობები გამოგზავნა თბილისში ტელეფონოგრამით: „ეს ხმები, ვითომც ჩაჩნები ხასავ-იურტზე გალაშქრებას აპირებდნენ და ამიტომ ამ ქალაქიდან ჯარი გაეყვანოთ, სიმართლეს მოკლებულია და აშკარად პროვოკაციულია. ხასავ-იურტს იცავს დაღესტნის ცხენოსანთა პირველი პოლკი და სამხედრო ნაწილი, რომელთა შორის სრული თანხმობაა.

ქრისტეშობისთვის 17-ს დილის 11 საათზე კავკავის ახლო მთიელთა მთავრობის ცხენოსანთა რაზმმა გააჩერა კავკასიის ლაშქრის საოლქო ყრილობის მიერ გაგზავნილი დელეგაციის ავტომობილი. დელეგაციის წევრებთან აღმოაჩინეს ნაკაზი, რომ ენერგიული ზომები მიეღოთ ჩრდილო-კავკასიის, ვითომდა კონტრევოლუციურ პოლიტიკურ და საზოგადო ორგანიზაციების წინააღმდეგ. დელეგაციის წევრები დაატუსაღეს. როგორც კი გაიგო ეს ამბავი მთიელთა მთავრობამ, მაშინვე დელეგაციის წევრები გაანთავისუფლა.

ქრისტეშობისთვის 17-ს კავკავში კავკასიის ლაშქრის ყრილობის დელეგაციის რამდენიმე წევრის თანადასწრებით გაიმართა სამარის ერთ რაზმს მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს ქალაქიდან განდევნონ ყველა ოფიცრები. რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანის დროს ექსცესები მოხდებოდა, რაზმს იარაღი აჰყარეს. რაზმი უსისხლოდ დაპნევდა.

კარსკის სტანიცაში ყაზახებმა მატარებლიდან გადმოიყვანეს 3 ჩაჩანი, იარაღი აჰყარეს, სცემეს და ფული წაართვეს მათ.

გროზნაში ყაზახებმა მოჰკლეს ერთი ჩაჩანი. ჩაჩნების პოლკი და კომიტეტი ქალაქიდან გავიდა, რომ მდგომარეობა არ გამწვავებულიყო.

მოზდოკის მიდამოებში საბოლოოდ სროლა შესწყდა და წესიერება ჩამოვარდა.

დაღესტანში სრული სიწყნარეა. დონზე და ყუბანზე საყურადღებო არაა მომხდარა-რა. ბამმატოვი იმ აზრისაა, რომ, თუ ჩრდილო-კავკასიაში ჯარი გაიგზავნა, დიდი უბედურება მოჰყვება ამას.

# სპარსეთის გაწმენდა რუსის ჯარების მიერ

როგორც გვატყობინებენ სპარსეთიდან წამოსული ჩვენი ჯარი დიდს უწესოებას ჩადის. ჯარის-კაცთა ბრბო არ ინდობს სოფელ-ქალაქებს და ცდილობს უდანაშაულო სპარსეთის მოსახლეობას.

მთლად აოხრებულია ქ. ხოი და ურმია. ამაზედ ადრე ასეთივე ბედი ეწვია ყაზვინს, არდებილს და ყუმს, სადაც ჯარისკაცებმა გადაბუგეს არემარე ცეცხლით და მახვილით, ნამუსი აჰხადეს ქალებს და ირანელთა სიწმინდენი შეაგინეს. სპარსეთის მთავარმა საკონსულომ, რუსის-ჯარის მიერ ჩადენილ მხეცობის გამო და „პოგრომის" შიშის მოლოდინში წინადადება მისცა ამიერ კავკასიის კომისარიატს, რაც შეიძლება მალე გასწმინდონ სპარსეთის მიწა-წყალი ჯარებისაგან და ხელი შეუწყონ მათს წესიერად მოვლილობას. ამასთანავე გენერალი საკონსულო დაჟინებით ითხოვს, რომ დამნაშავენი ძარცვა გლეჯაში კომპეტენტურ სამართალს გადასცენ.

# ქართველთა ხმა ჩრდილოეთის ფრონტიდან

(გაზეთ „საქართველო"-ს ტელეგრამა)

**ვეუზენბერგი.** ქრისტეშობისთ. 20. 14 საათი და 50 წუთი. მე-12-ე ლაშქრის ქართველ ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ილია დიმიტრის ძე შენგელია ქართველ ჯარისკაცთა მინდობილობით სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ ძალადობაზე, რომელსაც მე-12-ე ლაშქარი განიცდის. აღელვებულნი ჯარისკაცნი მიჰმართავენ მთავარსარდალ კრილენკოს: იცით, თუ არა, მოქალაქე კრილენკო, რომ ის ერი, ვინც 400 ათასი მებრძოლი მისცა რუსეთს, დღეს შეურაცხყოფას განიცდის. იცით, თუ არა, რომ ქართველი ჯარისკაცები ჩრდილოეთის ფრონტის ნაწილებში გაფანტულნი ამ დღის ღირსეულად ჰზიდავდნენ თავისუფლების და რევოლუციის ჯვარს,—გადაწყვიტეს ეროვნულ ჯარის ერთეულად გამოყოფვა. იცით, თუ არა, რომ ის ქონება, რომელიც ახლად შედგენილ ქართულ ეროვნულ პოლკისათვის იყო დანიშნული და მით სარგებლობის უფლება ქართველებს მიეხიჭათ, რუსეთში არსებულ ყველა მთავრობათა ნებართვით—მე-12-ე ლაშქრის კომისარი ამას არ უშვებს ანგარიშს და ჩვენთვის დანიშნული მთელ ქონებას ნაწილებენ და იტაცებენ. იცით თუ არა თქვენ მოქალაქე კრილენკო, რომ თავისუფლების მოტრფიალე ქართველები არ შედრკებიან თავიანთ მოთხოვნილების წინაშე. იცით თუ არა, რომ ქართველ ლაშქრის უფლების შელახვა ბრძოლაა ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ? ჩვენ მოვითხოვთ მე-12 და ჩრდილოეთ ფრონტის ლაშქარში დაუყოვნებლივ ნაციონალიზაციის გატარებას. მოვითხოვთ დაარწმუნოთ ბატონ ნახინსონოვები, რომ ნიკოლოზის დროის ზომებით უსარგებლია.

# დღევანდელი ორმოცი კერენსკი

„სმოლნი ინსტიტუტში 40 კაცი ჰყავთ დატუსაღებული. ყველა მათგანი მეტად ჰგავს კერენსკის".

გაზეთებიდან.

იცვლება რუსეთი ისე ვით მარტი
და ჰვარტლმა დროშები, შეღება ჯამური,
კერენსკი ჰფიქრობდა: ვარ ბონაპარტი
მაგრამ იმალება დღეს როგორც ლამური.

ამბობენ კერენსკი სეირნობს კაბით,
იგი სათნოების დაიკოთ გამხდარა.
კრილენკო უძახის: „თუ ვერ დაგაბით
მაშინ ეს ვაჟკაცის უღვაში წამხდარა.

კერენსკის ეძებენ ვით მგელი ბატკანს,
ვინც მას ჰგავს იპყრობენ სმოლნის უფროსები.
ჯერ ნახეს ორმოცი! რომელ იმათგანს
დახვრეტენ, დასჭრიან მთვრალი მატროსები?

პუდლჩინელი.

# დამფუძნებელ კრების არჩევნები

თბილისში დაბრუნდა დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარი ამიერ-კავკასიის ცენტრალ კომისიის თავმჯდომარე ჯამალ-ბეგ განჯინსკი. იგი ბაქოსა და ბათუმის გუბერნიაში იყო. მისი სიტყვით ზოგიერთ მაზრებში ამომრჩეველთა აბსენტიზმი 60 პროცენტს აღწევდა. ჯევარის მაზრაში და მუღანოში არჩევნები შახსევანების თავდასხმის გამო არ მომხდარა.

ბაქოს გუბერნიაში მუშაობის დასაჩქარებლად დარჩნენ ცენტრალ კომისიის წევრი გორინი და ინსტრუქტორი ვექილოვი.

ყარსის ოლქში 1 ნომერმა მიიღო 5,324, მე-2 728, მე-3 28,762, მე-4 50.599, მე-5 15.596, მე-12 85.133.

# მუშათა დეპუტატების კრება

ქრისტეშობისთვის 19-ს თბილისში დაწყო ყრილობა ამიერ-კავკასიის მუშათა დეპუტატებისა, კრებაზე გამოცხადდა 150 დელეგატი, რომელთა შორის 139 კაცი სოციალ-დემოკრატი მენშევიკია. არ არის ბაქოს წარმომადგენელი. კრება გახსნა ნ. ჟორდანიამ. ძეხშევიკებმა განაცხადეს, რადგან მომეტებული ნაწილი ქალაქებისა წარმოდგენილია, კრება კანონიერად უნდა ჩაითვალოსო. ბოლშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ და კრება დასტოვეს.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. რამიშვილი. კრებამ აირჩია სამანდატო კომისია, რომელშიაც მენშევიკების მხრივ შედიან ბ-ნნი ან. ჯაფარიძე და გურული, დაშნაკელების მხრივ—პაპაზიანი და ესერების მხრივ მუშაგიანი.

განსახილველი მოხსენებანი კრებისა: 1) ეხლანდელი მომენტი ნ. ჟორდანიასი, 2) ჯარის მობილიზაცია ი. ქარცივაძისა, 3) შრომის ბაზრის მოწესრიგება ა. ახატინისა, 4) გლეხებისა და მუშების შეიარაღება კ. ჯუღელისა და 5) სასურსათო საკითხი ტერ გაზარიანისა. კრებაზედვე უნდა გადაწყდეს საკითხი საოლქო ცენტრის განხილვის შესახებ.

# სამხედრო დეკრეტი
## კავკასიის ფრონტზე სამხედრო სამსახურის ახალ პირობების შესახებ

(მიღებულია ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ ქრისტეშობისთვის 18-ს)

### კავკასიის ლაშქრის მხედრებო!

დროებითი ზავი უკვე შეკრულია ახლა ზავისთვის მოლაპარაკება სწარმოებს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მიღებულ იქნებიან დემოკრატიულ ზავის პირობები თუ არა. ამისათვის დიდ რუსეთის რესპუბლიკის მიზანია დემოკრატიულ ზავის შეკვრამდე არსებულ ფრონტის შენარჩუნება.

ამით იგი მიაღწევს:

1) დროებითი ზავის პირობათა დაურღვევლობას.

2) დემოკრატიულ ზავის შეკვრას.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა თავს იდვა რა ამ მძიმე დროს კავკასიაში რუსეთის რესპუბლიკის მთლიანობის დაცვა, დაადგინა, რომ საყოველთაო ზავამდე კავკასიის ფრონტზე სამხედრო სამსახურის პირობები შეიცვალოს:

1) ლაშქარი ეროვნებათა მიხედვით ცალ-ცალკე ერთეულებად დაიყოს.

2) სომეხთა, ქართველთა, მაჰმადიანთა, უკრაინელთა, პოლონელთა, ასურელთა და ოსთა სამხედრო ნაწილების გარდა დაუყოვნებლივ შესდგეს რუსთა კორპუსი.

შენიშვნა: ეროვნულ ნაწილებში შესვლა სხვა ეროვნებათა ჯარისკაცებს მიუღებელ ნაწილის თანხმობით შეუძლიათ.

3) კავკასიის ლაშქრის ის ჯარის-კაცები და ოფიცრები, რომლებიც არ მოისურვებენ კავკასიის ფრონტზე სამსახურის გაგრძელებას, გაიგზავნებიან შესაფერის განკარგულებით, თავთავიანთ სამხედრო უფროსებთან, რათა ისინი მათ სურვილებისამებრ განწესდნენ.

4) ეროვნულ ნაწილებში დარჩენილი ჯარის კაცები და ოფიცრები მოვალენი არიან სამსახურში საერთო ზავის ჩამოგდებამდე და დემობილიზაციის გათავებამდე დარჩნენ.

5) ფრონტზე ნამსახური ერთი დღე სამხედრო სამსახურის ორ დღეთ ჩაეთვლებათ.

6) გამოიცემა დამატებითი საგანგებო განკარგულება კავკასიის ფრონტზე დარჩენილ ჯარისკაცთა ნივთიერ მხრის გასაუმჯობესებლად.

7) მოხალისეთა სამსახურის პირობები და ნივთიერი მხარე სამხედრო ბეგრის მოხდელთა პირობებს უთანასწორდება.

8) ეროვნულ ნაწილებში ოფიცერთა სამსახური და ნივთიერად უზრუნველყოფა არსებულ კანონდებულების თანახმად რჩება.

9) ეროვნულ ნაწილების საშინაო მხარეს აწყობენ სათანადო სამხედრო-ეროვნული ორგანიზაციები.

# ბინების სარეკვიზიციო დებულება

1) თვითეულ მცხოვრებისთვის ერთი ოთახია გადადებული. მოსამსახურე მცხოვრებთა რიცხვში არ ითვლება. თორმეტ წლის ბავშვთათვის გადაწყვეტილია თითო ოთახი ორ სულზე.

2) ოთახები არ ჩამოერთმევათ, სხვა და სხვა პროფესიულ ჯგუფებს, თუ ოთახების ჩამორთმევა მათ მუშაობას ხელს შეუშლის.

3) თუ ოთახები ისეთ რიგზეა სახლში, რომ ერთი ოთახის ჩამორთმევით შიგ მდგომი მეორეთიც ვერ ისარგებლებს, ოთახი არ ჩამოერთმევათ.

4) იმ პირებს, რომელთაც ოთახი უნდა ჩამოერთვათ, საგანგებო ბარათებით წინასწარ ეცნობებათ.

5) უწყების მიღების შემდეგ მიმდებს ორ დღის განმავლობაში შეუძლიან განსაჩივრება გამგეობის სარეკვიზიციო კომისიაში. პროტესტი რეკვიზიციას აჩერებს, მაგრამ პროტესტის შემტანს ოთახის გაქირავების ნება კი არა აქვს.

6) სარეკვიზიციო კომისია 4 წევრისგან შესდგება: თავმჯდომარესა და მის ამხანაგს ირჩევს საბჭო; წევრებს —გამგეობა. თავმჯდომარე და მისი ამხანაგი თვიურად იღებს 300 მანეთს. წევრები—250 მ.

7) სარეკვიზიციო კომისიამ მიღებული პროტესტი ორ დღის განმავლობაში უნდა განიხილოს და თავისი დადგენილება გამოიტანოს.

8) სარეკვიზიციო კომისიას უფლება აქვს დაათვალიეროს ოთახები, გასინჯოს სახლის წიგნი და სხვა. მილიცია მოვალეა დახმარება აღმოუჩინოს.

9) ჩამორთმეულ ოთახის ფასი სწყდება ბინის პატრონისა და იმ პირის შეთანხმებით, რომლისათვისაც ოთახი ერთმევა. თუ ეს ბინის და ხსენებული პირნი ვერ შეთანხმდნენ მაშინ ფასს 1917 წ. მარტის 5 გამოცემულ ბინის ფასების კანონის მიხედვით სწყვეტს გამგეობა.

10) რეკვიზიციის ვადა მშვიდობიანობის ჩამოგდებამდეა გადაწყვეტილი.

11) ყველა სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესებულებანი მოვალენი არიან გამგეობის მიერ ნაჩვენებ დროზე წარადგინონ სარეკვიზიციო კომისიაში ცნობები მათ მიერ დაჭერილ ოთახების შესახებ. კომისიას უფლება აქვს ხსენებულ დაწესებულებების მიერ დაჭერილი ოთახები დაათვალიეროს.

## კავკასიის ლაშქრის მე-2 ყრილობა

**ქრისტეშობისთვის 15 სხდომა.**

## ბრალდება ამიერ-კავკასიის სეიმისადმი.

[illegible]

**ქრისტეშობისთვის 16 სხდომა.**

[illegible]

**ქრისტეშობისთვის 17 სხდომა.**

## საქართველოს წინააღმდეგ

[illegible]

...ანი, რომელიც თავის თავს ინტერნაციონალისტს უძახის, არა თაკილობს ისეთი საზიზღარი ბრალდებანი, რაც არა ერთხელ გვსმენია პურიშკევიჩისაგან და მარკოვისაგან.

1905 წელს, როდესაც საქართველო სისხლით ირწყვებოდა, ის დარბეულ იქმნა მეფის ჯალათების შემდეგი ლოზუნგით:—გალეწეთ ქართველები, მათ თავიანთი მეფე უნდათ!

ტანჯვა, ვაებით, საქართველომ მოიტანა თავისი იდეალები დღემდე და დღეს, ეგრედ წოდებულნი სოციალისტები, ბრალს სდებენ მას შოვინისტობაში. არას ვიტყვი ამ სოციალისტებზე, ვინაიდან ტიხომიროვიც ერთ დროს სოციალისტი იყო და შემდეგ პროვოკატორად იქცა.

არა აქვს საზღვარი პროვოკატორობას, როდესაც ამტკიცებენ, რომ საქართველოს გამოცალკევება სწყურია. ეს ჭორია, საქართველო განუყოფელი ნაწილია რუსეთის რესპუბლიკისა.

შაუმიანის მიზანი ორია: ერთი ამხედროს რუსობა საქართველოს წინააღმდეგ, და მეორე ძალა-უფლება ხელში ჩაიგდოს.

შეიძლება ამ ადამიანმა ჩაიგდოს ძალა-უფლება ხელში, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ცხედრების ჩაქოლვის შემდეგ.

ვათავებ რა ჩემს სიტყვას, ვეკითხები ამხანაგ ჯარის-კაცებს, სისხლის ღვრა ერთი ადამიანის მიზნებისათვის?

გეგეჭკორის სიტყვა დარბაზში დიდ აღელვებას იწვევდა. ისმოდა ხმები „ძირს საქართველო“, ძირს ნაციონალისტები“. იყო ისეთი მომენტებიც კი, როდესაც გეგეჭკორის სიცოცხლეს აღელვებულ ბრბოსაგან უშიშროება ელოდა.

საერთო აურ-ზაურით და ხმაურობით ყრილობა დაიხურა საღამოს 6 საათზე.

## თეატრი და ხელოვნება

**„პატიოსნება“ დრამა ზუდერმანისა.**

[illegible]

...ბა ხომ არ არის? ხომ არ გაგიჟებულა ეს ბიჭი? არა, არა! ეს ფული თვით მაღალ ღმერთის წყალობაა, ხელიდან ვინ გაუშვებს ამ ზღვა ფულს? ეხლა კი ელირსათ მშვიდობიანი და უზრუნველი ცხოვრება მთელ ოჯახს!

რობერტი სასოწარკვეთილებაშია. ამის მდგომარეობა რთულდება იმ გარემოებით, რომ ამას და მექარხნის ქალიშვილს ლეონორას (ქ. ქიქოძე) დიდი ხანია უყვართ ერთმანეთი წმინდა და ღრმა სიყვარულით. აგელმას შეურაცხმყოფელი კურტი კი ლეონორას ძმაა.

საქმეში ერევა გამოცდილი გრაფი და საქმეს ხელოვნურად არიგებს. რობერტს ათას თუმანს ასესხებს, რასაც ის უბრუნებს მექარხნეს, ხოლო ამისი ქალი ლეონორა და რობერტი ამიერიდან იწყებენ ერთად ახალს ცხოვრებას და ჰპოვებენ ახალ პატიოსნებას, რადგან აწინდელი ცნება პატიოსნებისა სათუო და სხვა და სხვანაირია. ამაშია პიესის აზრი, მაგრამ რა ცნებაა ეს ახალი ცნება პატიოსნების, პიესიდან არ სჩანს, რადგან ავტორმა ამ ძიებაზე დაამთავრა პიესა.

რაც შეეხება შესრულებას, იგი მთლიანი და მხატვრული იქნებოდა, რომ მ. გვარაძეს გადამეტებულ ექსპრესიით არ შეესრულებინა თავისი როლი. სცენაზე სირბილი და გადამეტებული ისტერიკები საჭირო არ იყო. ბ. გუნია ბუნებრივად თამაშობდა დიდი ბატონის როლს და საზოგადოებაც მხურვალე ტაშით შეხვდა დამსახურებული მსახიობის გამოსვლას.

როგორც ყოველთვის, ცოცხლად და უნაკლოდ თამაშობდა ბ. შალიკაშვილი,—მას ეხარს უმშვენებდა ქ-ნი ჯავახიშვილი, რომლის თამაში, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია.

ქ-ნმა აბაშიძემ ცოცხლად ჩაატარა ღამის პეპლის როლი. ქ-ნი ქიქოძე კარგი იქნებოდა თავის როლში, რომ თითონ როლი არ იყვეს პიესაში ზედმეტი და შეთხზული. ბ-ნი ქევხიშვილი შეკავებით ასრულებდა „მეჭქეის“ განაზებულ შვილის როლს. ბ-ნი აბაშიძე...

[illegible]

**ეჯ. ლეჟავა.**

## საქართველოს ეროვნული სიმღერები

(ა. კავჭი ფოლკლორისტის კონცერტის გამო).

[illegible]

## არჩევნები ქართლში

[illegible]

**ნ. ცაიშვილი.**

## კორესპონდენცია

### მამულების განაწილება

[illegible]

...ბა მა კოტე სანიკიშვილმა ყველაფერი მოიწონა და გამოუცხადა ხალხს: რაიოგამართვე-ხელთ აქვს ჩვენ ამ უფლებით, თქვენ ხელში იყოს, მხოლოდ ვაზს წილა გაუფუვოთ და ღობე იქვე აშენეთო“. ქვემო უბნელებმა გამოაცხადეს, რომ ღობეს არ შემოავლებენ, რადგან საძოვარ ალაგათ უნდა გაქციონ ვენახი: მიუხედავად იმისა, რომ ს. საბუეში საკმაო საძოვარი ალაგები არის.

საქმე საძოვარ ალაგებში არ არის.

ვილაცას ჩაუგონებენ, რომ თავადიშვილებს ვენახები არ ჩამოერთმევათ. ამათაც იფიქრეს, როცა ვენახი საძოვარ ალაგათ გადაიქცევა, მაშინ ხომ ჩვენ დაგვრჩებაო.

ხალხის სათავეში სდგას ადვილობრივი მცხოვრები მოვაჭრე პიტაშვილი და ორი-სამი შეძლებული კომლი. ამ ორი წლის წინად ჯორჯაძეების მეთაურობით ს. საბუეში გაიხსნა „კოოპერატივი“, რომელმაც დიდი შეღავათი მისცა სოფელს და, რასაკვირველია, დიდი ზარალი იმისთანა ვაჭრებს, როგორც პიტაშვილს.

კერძოდ ა. ლ. ჯორჯაძემ დაამტკიცებინა წესდება, კრედიტი გაუხსნა ამ საზოგადოებას ბანკში და სხვა.

ეხლა ხალხმა მადლობა გადაუხადა და უკანასკნელი ცხოვრება ხელიდან გამოაცალა.

ეს მამული უყიდნია ამ სამი წლის წინ და თვით ა. ლ. ჯორჯაძეს, ლობე განუახლებია, ხეხილი ჩაუყრია და კარგი მოვლის ეამო ვაზი ფეხზე დ უყენებია.

**დამსწრე.**

**რედაქტორი ზაქარია მიქაძელი.**

## კალენდარი

**პარასკევი, ქრისტეშობისთვის 22**

მე 38 დღე ქრ. შობის მარხვისა.
**ქართვ.** წმ. დიდისა მოწამ. ანასტასიასი, მწვალებლობათა დამხსნელისა.
**კათოლ.** წმ. ზენონისა.
**სომეხ.** ნახატონაკი.
**მაჰმად.** ჯუმა 20 რ. რებიულეველ 1336 წ. ჰიჯრისა.
**ებრაელ.** იომშიშ 21 რ. ტებეთი 5678 წ. ქვეყ. შექ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ საფ. | № 5, | 11,32 | დილ. |
| სამგზ. | № 9, | 11.28 | დილ. |
| ხაშურ-ბორჯომის. | № 19, | 3.17 | დღ. |
| „ „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| ბაქოსაკენ ჩქარ. | № 6, | 9.51 | დილ. |
| „ საფ. | № 4, | 8.46 | საღ. |
| საქარასკენ სამგზ. | № 4-8, | 12.15 | ნაღ. |
| „ | № 61. | 8,18 | დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | № 63.4, | 48 | ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან სამგზ. | № 10, | 8.38 | დილ. |
| „ საფ. | № 6, | 7,41 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. სამგზ. | № 20, | 7.57 | დილ. |
| „ სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან საფ. | № 8, | 10 26 | დილ. |
| „ ჩქარ. | № 5, | 10 20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. საფ. | № 3***, | 7. 58 | დილ. |

## კახეთის რკინის გზა

**თბილისიდან გადის:**
სამგზ. № 4, 8.58 დილ.

**თბილისში მოდის:**
საღამოთი 6.24 წუთ.

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას— თავისუფალ საქართველოში!

**მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის**

[illegible]

# „თეატრი და ცხოვრება“

1918 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც გამოდიოდა ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ და სიუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

ჟურნალის ფასი: წლიურად 15 მან. ნახევარ წლით 9 მ. ... 10 მ. ... 3 მ. ...

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედაქციაში ... ხაზინის თავში, ... სახლი ... № 20) ფოსტით: Тифлисъ ред. „Театри да Цховреба“, Iосифу Имедашвили.

შენიშვნა: ... ძველმა ხელის მომწერლებმა ... მისამართის ნომერი გვაცნობონ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

5—4